სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

16 იანვარი, 2024 წ.

ბრძანება N 01 - 10/01

ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 06 დეკემბრის N01-10/137 ბრძანებისა და ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის 2024 წლის 11 დეკემბრის №15368 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 06 დეკემბრის N01-10/137 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით დამტკიცდეს **საკონკურსო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

   ა) ნინო მხეიძე - ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე.
   ბ) რაულ გოცირიძე - ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მემბრანული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, კომისიის წევრი.
   გ)ზურაბ მიქელაძე -აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის აგრარული და კვების პროდუქტების ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, კომისიის წევრი.
   დ) ნინო კიკნაძე - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის აგრარული და კვების პროდუქტების ტექნოლოგიების განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, კომისიის მდივანი.
   ე) დალი კახიძე - ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი.

2. საკონკურსო კომისიამ უზრუნველყოს კონკურსანტების ინფორმირება გასაუბრების თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ, კონკურსანტების მიერ მითითებული საკონტაქტო საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით.
3. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).

4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტს, საქმისწარმოების (კანცელარია) სამსახურს, ბსუ-ს იურიდიულ დეპარატმენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე